

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე

#### „იარაღის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია ოჯახში ძალადობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასთან. იგი მიმართულია უზრუნველყოს სათანადო ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის, პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების არსებული სამართლებრივი მექანიზმები, სრულყოფილად მოაწესრიგოს მოძალადისათვის დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში იარაღის შექმნის, შენახვისა და ტარების წესი და პირობები.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება ნორმა (*მუხლი 20-ის პუნქტი 3*), რომელის მიხედვითაც განისაზღვრება დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების პერიოდში მოძალადისთვის იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-სამშტატო იარაღით) სარგებლობის პირობები. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადისათვის კუთვნილი (მათ შორის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის) იარაღის შენახვის ან აღნიშნულ პერიოდში მისი დროებით ჩამორთმევის პირობები რეგულირდება შესაბამისი ორდერით. ხოლო რაც შეეხება იარაღის (მათ შორის სამსახურებრივ-სამშტატო იარაღის)

სარგებლობის/შენახვის/ჩამორთმევის წესსა და პირობებს, იგი უნდა განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმება (მუხლი 27, პუნქტი 1-ლი, ქვეპუნქტი “დ<sup>1</sup>”) ან არ გაცემა (მუხლი 27, პუნქტი 2, ქვეპუნქტი “თ”) ან/და იარაღის ჩამორთმევა (მუხლი 28, პუნქტი 1-ლი, ქვეპუნქტი “ე”) იმ პირისათვის, რომლის მიმართაც გამოცემულია დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერი, მხოლოდ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით.

კანონპროექტში ახლებურად ყალიბდება ნორმები, რომლებიც ეხება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარებას (მუხლი 10, პუნქტი 3) და ადგენს, რომ მოძალადეს („ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირს) შემაკავებელი და დამცავი ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. დამცავი და შემაკავებელი ორდერის მოქმედების ან დამცავი და შემაკავებელი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამორთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამორთმევა გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, ხოლო ჩამორთმეული იარაღი შეინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

### **ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

### **ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

### **ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით გამოძინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

წევრი კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის